3.4 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მეთოდს. შემდგომში ფასდება აღდგენითი ღირებულების , ცვეთის და გაუფასურების გათვალისწინებით. 2021 წლის 1 იანვარს საზოგადოებას, ძირითადი საშუალებების ნაშთი ერიცხებოდა 2131287 ლარი . შეძენილია 114778 ლარის ძირითადი საშუალება. გაიყიდა მსუბუქი ავტომობილი-56156 ლარის ოდენობით. 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთი შეადგენს 2051535 ლარს.

ანგარიში ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ								
№	ლარი	მილსადენები	შენობა-ნაგებობები	ავტომობილები	აპარატურა და მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ამორტიზება დი ძირ. საშ-ები	სულ
1	**თვითღირებულება:**							
ა	ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2661540.00	678.05	87412.00	31530.71	38101.00	647824.86	3467087
ბ	შესყიდვა	0.00		0.00	3228.82	1500.00	38959.33	43688
	გაყიდვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0
გ	გადაფასება	0.00	0.00	0.00		0.00	0.00	0
დ	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2661540.00	678.05	87412.00	34759.53	39601.00	686784.19	3510775
ე	ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2661540.00	678.05	87412.00	34759.53	39601.00	686784.19	3510775
ვ	შესყიდვა		0.00	64200.00	0.00	2514.41	48064.00	114778
ზ	გაყიდვები	0.00	0.00	56155.99	0.00	0.00	0.00	56156
თ	გადაფასება		0.00	0.00		0.00	0.00	0
ი	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	2661540.00	678.05	95456.01	34759.53	42115.41	734848.19	3569397

	მდგომარეობით							
2	**ცვეთა და გაუფასურების ზარალი:**							
ა	ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	438712.00		69260.00	26806.16	34669.06	615835.17	1185282
ბ	ცვეთა წლის განმავლობაში	177826.30	108.49	3630.31	1257.42	886.47	10360.37	194069
გ	ცვეთის რეგულირება გადაფასების გამო	0.00	0.00	0.00				0
დ	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	616538.30	244.10	72890.31	28063.58	35555.53	626195.54	1379487
ე	ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	616538.30	244.10	72890.31	28063.58	35555.53	626195.54	1379487
ვ	ცვეთა წლის განმავლობაში	163600.00	86.79	7590.97	1355.06	871.98	17709.20	191214
ზ	გაყიდვები	0.00	0.00	52839.65	0.00	0.00	0.00	52840
თ	ცვეთის რეგულირება გადაფასების გამო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0
ი	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	780138.30	330.89	27641.63	29418.64	36427.51	643904.74	1517862
3	**საბალანსო ღირებულება**							
ა	2020 წლის 1 იანვარს	2222828.00	678.05	18152.00	4724.55	3431.94	31989.69	2281804
ბ	2020 წლის 31 დეკემბერს	2045001.70	433.95	14521.69	6695.95	4045.47	60588.65	2131287
გ	2021 წლის 31 დეკემბერს	1881401.70	347.16	67814.38	5340.89	5687.90	90943.45	2051535
4	**საბალანსო ღირებულება გადაფასების გარეშე**							
ა	2020 წლის 1 იანვარს	2222828.00	678.05	18152.00	4724.55	3431.94	31989.69	2281804
ბ	2020 წლის 31 დეკემბერს	2045001.70	433.95	14521.69	6695.95	4045.47	60588.65	2131287
გ	2021 წლის 31 დეკემბერს	1881401.70	347.16	67814.38	5340.89	5687.90	90943.45	2051535
	სულ							

3.5. ძირითადი საშუალებების გასვლით შემოსული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითად საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და გაწევისთანავე აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი და ხარჯი.

3.6. საზოგადოება ახდენს ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებას ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან. ცვეთა ერიცხება აქტივებს ისტორიული ღირებულებიდან წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშზე. 2021 წელს ძირითად საშუალებას ცვეთა დაერიცხა 191214 ლარი. ცვეთის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1517862.00 ლარს.

3.7. საზოგადოების მიერ შეძენილია სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებისათვის მასალები რომელიც გატარებულია მასალების ანგარიშზე და ჩამოწერილია ხარჯებში.

3.8 .საზოგადოების ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით . აღრიცხვიანობა ხდება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. ხოლო ტალონები ჩამოიწერება ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

3.9. შემოსავლები და ხარჯების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

3.10.მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად , საზოგადოება მოგების გადასახადით იბეგრება ე. წ. ,,ესტონური მოდელით". რადგან საზოგადოება არ გასცემს დივიდენდს და მისი ხარჯები და განაცემები მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, შესაბამისად არც მოგების გადასახადის დარიცხვა არ ხდება.

3.11. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები ხარჯები და მოგება/ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით. 2021 წელს ამონაგები შეადგენს 6287797 ლარს. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს - 4445774.00 ლარს. პერსონალის ხარჯი - 1180583 ლარი. ცვეთა ამორტიზაცია - 191214 ლარს. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს -394117 ლარს. ნედლეული და მასალების დანახარჯები შეადგენს -56788.00 ლარს. სულ ხარჯები გაწეულია 2021 წლის განმავლობაში 6275629 ლარი. რის შედეგადაც მიღებულია მოგება 12168.00 ლარი.

შემოსავლები და რეალიზაციის ხარჯები			
№	ლარი	2021 წ.	2020 წ.
1	შემოსავალი ბუნებრივი აირის რეალიზაციიდან	5984459	5475811
2	შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან		
3	შემოსავალი ექსპორტიდან		

4	შემოსავალი ფიქსირებული ტარიფის მქონე მომსახურებიდან		
5	შემოსავალი იმპორტირებული ბუნებრივი აირის რეალიზაციიდან		
6	**სულ შემოსავალი**	**5984459**	**5475811**
7	გაყიდული ბუნებრივი აირის თვითღირებულება	-4445774	-3992715
8	გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების თვითღირებულება		
9	ბუნებრივი აირის ექსპორტის თვითღირებულება		
10	იმპორტირებული ბუნებრივი აირის თვითღირებულება		
11	შემოსავალი მონტაჟი, მომსახურებიდან	286977	264548

სხვა შემოსავლები			
1	ლარი	2021 წ.	2020 წ.
2	შემოსავალი ჯარიმებიდან		
3	სხვა შემოსავალი	16361	21649
	სულ	**16361**	**21649**

წმინდა ფინანსური შემოსავლები			
1	ლარი	2021 წ.	2020 წ.
2	საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე		
3	ფინანსური შემოსავალი	6287797	5762008
4	ზარალი უცხოური ვალუტის კურსთაშორის სხვაობით		
5	ფინანსური ხარჯები	6275629	5744110
6	წმინდა ფინანსური შემოსავალი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	12168	17898

ადმინისტრაციული ხარჯები			
№	ლარი	2021წ.	2020წ.
1	შესყიდული ბუნებრივი გაზი - საყოფაცხოვრებო	-3978736	-3568600
2	შესყიდული ბუნებრივი გაზი - არასაყოფაცხოვრებო	-467034	-424115
3	ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ხარჯი	-276788	-255940
4	სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია ბილიწგის სამსახურიინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები და სხვა)	-1136172	-1086106
5	საწარმოო ძირითადი საშუალებების ცვეთა	-191214	-194069
6	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე (გარდა 1.4.11 და 1.4.12 პუნქტებში ასახული ხარჯისა)	-56788	-57572
7	ავტოსატრანსპორტო ხარჯი	-4141	-3461
8	აქციონერების რეგისტრაციის ხარჯი(კავკასრეესტრი)	-13716	-13596
9	კომუნალური ხარჯი	-3746	-2416

10	საკომუნიკაციო ხარჯი	-9528	-10709
11	საკანცელარიო ხარჯი	-1824	-2138
12	საკონსულტაციო ხარჯი	-3500	-3653
13	კომპიუტერის ხარჯი	-967	-1568
14	იჯარის ხარჯი	-15000	-15000
15	დაზღვევის ხარჯი	-20651	-16345
16	კომისიის რეგულირების საფასური(სემეკი)	-12237	-11302
17	სხვა საგადასახადო ხარჯი(ქონების გადასახადი (გარდა მიწისა))	-20970	-22068
18	საბანკო ხარჯი	-12466	-10508
19	საწვავის ხარჯი	-4719	-6350
20	სანოტარო და საფოსტო მომსახურების ხარჯი	-413	-842
21	საპენსიო დაგროვების ხარჯი	-4918	-4749
22	აქციონერების სამედიცინო მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი(ხელფასი)	-23760	-23027
23	სხვა საოპერაციო დანახარჯები	-16341	-9976
სულ:		**-6275629**	**-5744110**

3.12. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით). 2021წელს ბიუჯეტში გადახდილია 526941 ლარი, აქედან დამატებული ღირებულების გადასახადი- 259920.00 ლარი. საშემოსავლო - 235221.00 ლარი. ქონების გადასახადი - 21800.00 ლარი. ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გადასახდი 10000 ლარი. მარეგულირებელი ორგანოს მიმართ-12284.00ლარს.

3.13. დებიტორული დავალიანება 2021 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 883217 ლარს.

3.14. კრედიტორული დავალიანება 2021 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 867518ლარს.

3.15. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 2021 წელში უცვლელია და შეადგენს 5 000 000 ლარს. მომხმარებლების მიერ შეტანილი მონტაჟის ღირებულებაა 160 977.00 ლარი. რომელიც აღირიცხება, როგორც შენატანი რეზერვში.

3.16.ვინაიდან 2020 წლამდე გაზის ტრანსპორტირების ხარჯის გადახდა ხდებოდა მომწოდებელი კომპანიის(ს.ს.,,სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“) მიმართ, 2021წლიდან სემეკის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ,ზემოთ აღნიშნული ხარჯების ანგარიშწორებას ვახდენთ შ.პ.ს ,,საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ს. მიმართ. რამაც გამოიწვია ტრანსპორტირების ხარჯის მკვეთრი ზრდა.

4.საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები :

4.1. საანგარიშო პერიოდის შემდგომ, მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

5 . ს.ს.,,ენერგოკავშირი“-ს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2022 წლის 22 ოქტომბერს.

ს.ს.,,ენერგოკავშირი“-ს
/ვაჟა მაისურაძე/

გენერალური დირექტორი:

Vazha Maisuradze 01026003130

Digitally signed by Vazha Maisuradze
Date: 2022.05.11 13:46:33

სს „ენერგოკავშირი"-ს
2021 წლის
მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

აუდიტური ფირმა შ.პ.ს. „ჩოხი“. ქ.თბილისი, ცხრა ძმის ქ.№16

ა უ დ ი ტ ო რ უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა

მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ს.ს. ”ენერგოკავშირი”-ს სამეთვალყურეო საბჭოს.

შპს “ჩოხი”

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები;

სს „ენერგოკავშირი" წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ ღია ტიპის სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 ოქტომბრის №1/5-53 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო ნომრით: 200095887, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მუხიანის I-მ/რ; კორპ-13.

სს „ენერგოკავშირი"-ს საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 5,000,000.00 ლარს. გამოშვებული აქვს 5,000,000.00 ჩვეულებრივი აქცია. აღნიშნული თარიღისათვის საზოგადოებას ჰყავს **8060** აქციონერი. სს „ენერგოკავშირი"-ს აქციონრები უმეტესად არიან ქ. თბილისი მუხიანის დასახლებაში და გლდანის მე-V, VI,VII და VIIIმ/რ-ში მცხოვრები პირები, რომლებიც ასევე არიან კომპანიის მომსახურების მიმღებები.

სს „ენერგოკავშირი"-ს აქციები არ არის დაშვებული სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

საზოგადოების აქციონერთა რეგისტრაციას ახორციელებს სს „კავკასრეესტრი".

სს „ენერგოკავშირი" არის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 22 დეკემბრის 27/1 გადაწყვეტილებით, ბუნებრივი აირის მიწოდება-განაწილების ლიცენზიატი, რომლის სამოქმედო არეალს წარმოადგენს ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება და გლდანის მე-V,VI,VII და VIII მ/რ-ები. შესაბამისად საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი აირის მიწოდება-განაწილება როგორც საყოფაცხოვრებო ისე არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის. საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი ბუნებრივი აირის ტარიფი არის რეგულირებული სახელმწიფოს მიერ, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი ბუნებრივი აირის ტარიფი არის

ნაწილობრივ დარეგულირებული. კომპანია ასევე ახორციელებს მოსახლეობის და ორგანიზაციების გაზიფიცირებას მის სამოქმედო არეალში.

საზოგადოებას საკუთრებაში აქვს გაზის მილსადენები მდებარე: ქ. თბილისი მუხიანის დასახლებაში და გლდანის მე-V,VI,VII და VIII მ/რ-ებში. გლდანის დასახლებაში არსებული გაზის მილსადენები (საკადასტრო კოდი 01.00.041 და 01.01.995), რომელიც იჯარით არის გადაცემული შპს „თბილისი ენერჯისთვის" 17.12.2019 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოება ემსახურებოდა 12,003.00 აბონენტს, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის გაიზარდა 358.00 ერთეულით და შეადგენს 12,361 აბონენტს, ხოლო წლის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა **6,287,797.00 (ექვსიმილიონ ორასოთხმოცდაშვიდიათას შვიდასოთხმოცდაჩვიდმეტი)** ლარი, რომელშიც შედის გაზის მიწოდება-განაწილებიდან მიღებული და გაზიფიცირებიდან შემოსული თანხები.

კომპანია ყოველწლიურად ეწევა ქსელის მოვლის და რემონტის ხარჯებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს აბონენტებისთვის ხარისხიანი მომსახურება.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები;

საზოგადოებას მისი მოქმედების არეალში კონკურენტი პრაქტიკულად არ ჰყავს და აქედან გამომდინარე მისი ბაზარი გარანტირებულია.

საზოგადოება არის ბუნებრივი მონოპოლიის სეგმენტი სალიცენზიო არეალში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ძირითად რისკს კომპანიისთვის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს, რომელზეც დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნებიდან ბუნებრივი აირის მოწოდება ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ საქართველოში მოპოვებული ბუნებრივი აირი ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ უმნიშვნელო წილს აკმაყოფილებს.

ასევე პრობლემური არის კომპანიისთვის ფინანსური სტაბილურობის საკითხი, რადგან ბუნებრივი აირის შესყიდვა ხდება აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარში. (1000მ/3 ღირებულებას აშშ დოლარში განსაზღვრავს ხელშეკრულება კომპანიასა და მომწოდებელს შორის, სემეკთან შეთანხმებით).

კომპანიას რისკები კრედიტებთან ან სხვა საბანკო ურთიერთობების თვალსაზრისით არ გააჩნია.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება:

კორპორაციული მართვის მიზანია გადაწყვეტილებების ეფექტური მიღება, აქციონერთა და აბონენტთა უფლებების დაცვა, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნება და ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება.

- **კომპანიის კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა;**

კორპორაციული მართვის ორგანოებია:

აქციონერთა საერთოკრება– მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. აქციონერთა საერთოკრება მოიწვევა კანონის და წესდების დაცვით სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, საჭიროებიდან გამომდინარე მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება. კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნისას საზოგადოების გენერალური დირექტორი. საერთო კრებაზე მიიღება გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რაც დადგენილია საზოგადოების წესდებით. ერთი აქცია არის ერთი ხმა.

სამეთვალყურეოსაბჭო – კომპანიის მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობასა და აღმასრულებელ ორგანოზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება რანაკლებ სამი და არაუმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, რომლის რაოდენობას და შემადგენლობას ადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან ოთხიწლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: კახა ბროკიშვილი, ვახტანგ ლომაია, მერაბ სვანი, თამაზ გოცირიძე და დავით არსენაშვილი.

აღნიშნული წევრებიდან თავმჯდომარე –კახა ბროკიშვილი და მოადგილე- ვახტანგ ლომაია.

საზოგადოების გენერალური დირექტორი – კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. გენერალური დირექტორი ეწევა საზოგადოების მიმდინარე ხელმძღვანელობით საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესის შესაბამისად.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, 2021 წლის პერიოდში საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებს ვაჟა მაისურაძე.

ემიტენტის კაპიტალში მმართველი ორგანოს წევრების წილობრივი მონაწილეობა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ემიტენტის კაპიტალში მმართველი ორგანოს წევრების წილებია:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი კახა ბროკიშვილი - 100317 აქც. – 2.007%
2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი ვახტანგ ლომია - 42000 აქც. – 0.84%
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მერაბ სვანი - 121225 აქც. – 2.43%
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თამაზ გოცირიძე- 217905 აქც. - 4.36%
5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დავით არსენაშვილი- 188461 აქც. – 3.77%

სს „ენერგოკავშირი"-ს გენერალური დირექტორი ვაჟა მაისურაძე არ ფლობს წილს ემიტენტის კაპიტალში.

აუდიტი- ზედამხედველობას უწევს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს, რისკების მართვასა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას. უდიტი აირჩევა ყოველ წელს, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მიერ, წესდებით და დგენილი წესით.

საზოგადოების აქციონერები. მონაწილეობას იღებენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე. თითო აქცია არის თითო ხმა. აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვონ განმარტებები გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს. საზოგადოების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

აუდიტური ფირმა შპს "ჩოხი"-ს

გარიგების პარტნიორი: გურამ ბექაური

16 აპრილი 2022 წელი.

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

სს „ენერგოკავშირი" წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ ღია ტიპის სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 ოქტომბრის №1/5-53 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო ნომრით: 200095887,იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მუხიანის I-მ/რ; კორპ-13.

სს „ენერგოკავშირი"-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5 000 000 ლარს. გამოშვებულია აქვს 5 000 0000 ჩვეულებრივი აქცია. საზოგადოებას 31.12.2021 წლის მდგომარეობით რეგისტრირებული ჰყავს 8060 აქციონერი. სს „ენერგოკავშირი"-ს აქციონრები უმეტესად არიან ქ. თბილისი მუხიანის დასახლებაში და გლდანის მე-V, VI,VII და VIII მ/რ-ში მცხოვრები პირები, რომლებიც ასევე არიან კომპანიის მომსახურების მიმღებები.

სს „ენერგოკავშირი"-ს აქციები არ არის დაშვებული სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

საზოგადოების აქციონერთა რეგისტრაციას ახორციელებს სს „კავკასრეესტრი".

სს „ენერგოკავშირი" არის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 22 დეკემბრის 27/1 გადაწყვეტილებით, ბუნებრივი გაზის მიწოდება-განაწილების ლიცენზიატი, რომლის სამოქმედო არეალს წარმოადგენს ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება და გლდანის მე-V,VI,VII და VIII მ/რ-ები. შესაბამისად საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი გაზის მიწოდება-განაწილება როგორც საყოფაცხოვრებო ისე არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის. საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდები ბუნებრივი გაზის ტარიფი არის რეგულირებული სახელმწიფოს მიერ, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდები ბუნებრივი გაზის ტარიფი არის ნაწილობრივ დერეგულირებული. კომპანია ასევე ახორციელებს მოსახლეობის და ორგანიზაციების გაზიფიცირებას მის სამოქმედო არეალში.

საზოგადოებას საკუთრებაში აქვს გაზის მილსადენები მდებარე: ქ. თბილისი მუხიანის დასახლებაში და გლდანის მე-V,VI,VII და VIII მ/რ-ებში. გლდანის დასახლებაში არსებული გაზის მილსადენები (საკადასტრო კოდი 01.00.041 და 01.01.995) იჯარით აქვს გადაცემული შპს „თბილისი ენერჯისთვის" 17.12.2019 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოება ემსახურებოდა 12 003 აბონენტს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა 358 ერთეულით და შეადგინა 12 361 აბონენტი.

2021 წლის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 6 287 797 ლარი (დღგ-ს გარეშე), რომელშიც შედის გაზის მიწოდება-განაწილებიდან მიღებული და გაზიფიცირებიდან შემოსული თანხები.

კომპანია ყოველწლიურად ეწევა ქსელის მოვლის და რემონტის ხარჯებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს აბონენტებისთვის ხარისხიანი მომსახურება.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

საზოგადოებას მისი მოქმედების არეალში კონკურენტი პრაქტიკულად არ ჰყავს და აქედან გამომდინარე მისი ბაზარი გარანტირებულია.

საზოგადოება არის ბუნებრივი მონოპოლიის სეგმენტი სალიცენზიო არეალში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ძირითად რისკს კომპანიისთვის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს, რომელზედაც დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნებიდან ბუნებრივი გაზის მოწოდება. ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ საქართველოში მოპოვებული ბუნებრივი გაზი ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ უმნიშვნელო წილს აკმაყოფილებს.

ასევე პრობლემური არის კომპანიისთვის ფინანსური სტაბილურობის საკითხი, რადგან ბუნებრივი აირის შესყიდვა ხდება აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარში. (1000მ3 ღირებულებას აშშ დოლარში განსაზღვრავს ხელშეკრულება კომპანიასა და მომწოდებელს შორის, სემეკთან შეთანხმებით).

კომპანიას რისკები კრედიტებთან ან სხვა საბანკო ურთიერთობების თვალსაზრისით არ გააჩნია.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიზანია გადაწყვეტილების ეფექტური მიღება, აქციონერთა და აბონენტთა უფლებების დაცვა, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნება და ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება.

კომპანიის კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა

კორპორაციული მართვის ორგანოებია:

აქციონერთა საერთო კრება – მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა კანონის და წესდების დაცვით სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, საჭიროებიდან გამომდინარე მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება. კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნისას საზოგადოების გენერალური დირექტორი. საერთო კრებაზე მიიღება გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რაც დადგენილია საზოგადოების წესდებით. ერთი აქცია არის ერთი ხმა.

სამეთვალყურეო საბჭო – კომპანიის მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობასა და აღმასრულებელ ორგანოზე. სამეთვალყურეო

საბჭო შედგება არანაკლებ სამი და არაუმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, რომლის რაოდენობას და შემადგენლობას ადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, 2021 წლის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: კახა ბროკიშვილი, ვახტანგ ლომაია, მერაბ სვანი, თამაზ გოცირიძე და დავით არსენაშვილი.

აღნიშნული წევრებიდან თავმჯდომარე - კახა ბროკიშვილი და მოადგილე-ვახტანგ ლომაია.

ემიტენტის კაპიტალში მმართველი ორგანოს წევრების წილობრივი მონაწილეობა

ემიტენტის კაპიტალში მმართველი ორგანოს წევრების წილებია:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი კახა ბროკიშვილი - 100 317 აქც. – 2.006466%
2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი ვახტანგ ლომაია - 42 000 აქც. – 0.840053%
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მერაბ სვანი - 121 225 აქც. – 2.424652%
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თამაზ გოცირიძე - 217 905 აქც. - 4.358374%
5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დავით არსენაშვილი - 188 461 აქც. – 3.769457%

სს „ენერგოკავშირი"-ს გენერალური დირექტორი ვაჟა მაისურაძე არ ფლობს წილს ემიტენტის კაპიტალში.

საზოგადოების გენერალური დირექტორი – კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. გენერალური დირექტორი ეწევა საზოგადოების მიმდინარე ხელმძღვანელობით საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესის შესაბამისად.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, 2021 წლის მდგომარეობით საზოგადოების გენერალური დირექტორი არის ვაჟა მაისურაძე.

აუდიტი-ზედამხედველობას უწევს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს, რისკების მართვასა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას. აუდიტი აირჩევა ყოველ წელს, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მიერ, წესდებით დადგენილი წესით.

საზოგადოების აქციონერები -მონაწილეობას იღებენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე. თითო აქცია არის თითო ხმა. აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის

წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვონ განმარტებები გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს. საზოგადოების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

სს „ენერგოკავშირის”

გენერალური დირექტორი

/ვაჟა მაისურაძე/

სს „ენერგოკავშირი”-ს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

/კახა ბროკიშვილი/

წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვონ განმარტებები გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს. საზოგადოების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

სს „ენერგოკავშირის“

გენერალური დირექტორი

/ვაჟა მაისურაძე/

სს „ენერგოკავშირი“-ს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

/კახა ბროკიშვილი/

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სს „ენერგოკავშირი“-ს ხელმძღვანელობა ვადასტურებთ რომ, 2021 წლის აუდირებული მმართველობის ანგარიშგება და 2021 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „ენერგოკავშირი“-ს მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემი და ინფორმაცია არის სრული, სწორი და სამართლიანი.

სს „ენერგოკავშირის”

გენერალური დირექტორი

/ვაჟა მაისურაძე/

სს „ენერგოკავშირი”-ს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

/კახა ბროკიშვილი/

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სს „ენერგოკავშირი“-ს ხელმძღვანელობა ვადასტურებთ რომ, 2021 წლის აუდირებული მმართველობის ანგარიშგება და 2021 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „ენერგოკავშირი“-ს მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემი და ინფორმაცია არის სრული, სწორი და სამართლიანი.

სს „ენერგოკავშირის“

გენერალური დირექტორი

/ვაჟა შაისურაძე/

სს „ენერგოკავშირი“-ს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

/კახა ბროკიშვილი/